ქალაქ თბილისის მერიის საჯარო სამართლის იურიდიული პირი

თბილისის არქიტექტურის სამსახური

ბრძანება №3919069

ნომერი: AR1593211

თარიღი : 17.04.2018

გაცემის თარიღი : 18.04.2018

გაცნობის თარიღი : 18.04.2018

შედეგი : თანხმობა.

ობიექტის მისამართი :

ქალაქი თბილისი , ფარნავაზ მეფის ქუჩა N14; ქალაქი თბილისი , დასახლება დიდი დიღომი , ქუჩა ფარნავაზი , პურის საცხობის მიმდებარედ (ნაკვეთი 10/011);

დამკვეთი-განმცხადებელი
- თეიმურაზ ელკანიშვილი პ/ნ 01019012914
- თბილისი, საბურთალოს რაიონი, ფარნავაზ მეფის ქუჩა N14

ორგანიზაცია:
- შპს მონოლითი 1 კოდი: 405199315

ნომენკლატურა :

- მიწის ნაკვეთის სამშენებლოდ გამოყენების პირობებში ცვლილება
- IV კლასის ობიექტი (სავარაუდო კლასი)

ქ. თბილისის მერიის სსიპ – ქ. თბილისის არქიტექტურის სამსახურის 2012 წლის 16 ოქტომბრის №393154 გადაწყვეტილებით დამტკიცებულ მიწის ნაკვეთის სამშენებლოდ გამოყენების პირობებში ცვლილების შეტანის თაობაზე
ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ – ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურს 2018 წლის 17 აპრილს AR1593211განცხადებით მომართა თეიმურაზ ელკანიშვილმა, რომელმაც მოითხოვა ქ. თბილისის მერიის სსიპ - ქ. თბილისის არქიტექტურის სამსახურის 2012 წლის 16 ოქტომბრის №393154 გადაწყვეტილებით დამტკიცებულ მიწის ნაკვეთის სამშენებლოდ გამოყენების პირობებში ცვლილების შეტანა.

საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 96-ე მუხლის მოთხოვნათა შესაბამისად, სამსახურმა შეისწავლა საქმისთვის არსებითი მნიშვნელობის მქონე გარემოებები და დაადგინა, რომ ქ. თბილისის მერიის სსიპ - ქ. თბილისის არქიტექტურის სამსახურის 2012 წლის 16 ოქტომბრის №393154 გადაწყვეტილებით, ქ. თბილისში, დიდ დიღომში, ფარნავაზის გამზ. ავტოსადგომის მიმდებარედ არსებულ მიწის ნაკვეთზე (საკადასტრო კოდი: #01.10.06.010.009; ფართობი: 888 კვ.მ.) მრავალფუნქციური კომპლექსის განთავსების მიზნით დამტკიცდა მიწის ნაკვეთის სამშენებლოდ გამოყენების პირობები.
სამსახურის 2017 წლის 18 მაისის №3268282 ბრძანებით, ქ. თბილისში, სექტორი საბურთალო, ფარნავაზ მეფის ქ. #14-ში, შპს მონოლითი-ს საკუთრებაში არსებულ მიწის ნაკვეთზე (საკ. კოდი N 01.10.06.010.009), შეთანხმდა მრავალფუნქციური შენობის არქიტექტურული პროექტი.
სამსახურის 2018 წლის 26 იანვრის №3793985 ბრძანებით შევიდა ცვლილება 2012 წლის 16 ოქტომბრის №393154 გადაწყვეტილებით დამტკიცებულ მიწის ნაკვეთის სამშენებლოდ გამოყენების პირობებში და საპროექტო ობიექტის დასახელებად დაფიქსირდა: მრავალფუნქციური კომპლექსი, სკვერი, ღია ავტოსადგომი; ასევე გაიზარდა მიწის ნაკვეთის ფართობი და შეიცვალა საკადატრო მონაცემები: საკადასტრო კოდი #01.10.06.010.025; ფართობი 2695 კვ.მ, რეგისტრაციის ნომერი N892017258031 რეგისტრაციის თარიღი: 22/12/2017 წ.
ამჟამად, განმცხადებლი ითხოვს, შევიდეს ცვლილება ქ. თბილისის მერიის სსიპ – ქ. თბილისის არქიტექტურის სამსახურის 2012 წლის 16 ოქტომბრის №393154 გადაწყვეტილებით დამტკიცებულ მიწის ნაკვეთის სამშენებლოდ გამოყენების პირობებში და საპროექტო ობოექტად ნაცვალდ მრავალფუნქციური კომპლექსისა დაფიქსირდეს მრვალბინიანი საცხოვრებელი სახლი.
წარმოდგენილი დოკუმენტაციის შესწავლის შედეგად, სამსახუმა ქალაქგეგმარებითი თვალსაზრისით მიზანშეწონილად მიიჩნია ქ. თბილისის მერიის სსიპ – ქ. თბილისის არქიტექტურის სამსახურის 2012 წლის 16 ოქტომბრის №393154 გადაწყვეტილებით დამტკიცებულ მიწის ნაკვეთის სამშენებლოდ გამოყენების პირობებში ცვლილების შეტანა.
საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 63-ე მუხლის თანახმად, ადმინისტრაციულ-სამართლებრივ აქტში ცვლილების ან დამატების შეტანის უფლება აქვს მის გამომცემ ადმინისტრაციულ ორგანოს.

"მშენებლობის ნებართვის გაცემის წესისა და სანებართვო პირობების შესახებ" საქართველოს მთავრობის 2009 წლის 24 მარტის #57-ე დადგენილების და საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 63-ე მუხლის შესაბამისად

ვბრძანებ

1. შეტანილ იქნეს ცვლილება ქ. თბილისის მერიის სსიპ – ქ. თბილისის არქიტექტურის სამსახურის 2012 წლის 16 ოქტომბრის №393154 გადაწყვეტილებით დამტკიცებულ მიწის ნაკვეთის სამშენებლოდ გამოყენების პირობებში და საპროექტო ობიექტის დასახელებად დაფიქსირდეს: მრავალბინიანი საცხოვრებელი სახლი, სკვერი, ღია ავტოსადგომი;
5. წინამდებარე ბრძანება განხილული იქნეს ქ. თბილისის მერიის სსიპ – ქ. თბილისის არქიტექტურის სამსახურის 2012 წლის 16 ოქტომბრის №393154 გადაწყვეტილებასთან და 2018 წლის 26 იანვრის №3793985 ბრძანებასთან ერთად;
6. ბრძანება შეიძლება გასაჩივრდეს ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერთან (მის: შარტავას ქუჩა №7) მისი ოფიციალური წესით გაცნობიდან ერთი თვის ვადაში.

- დამატებით გაცნობებთ, რომ გაურკვევლობის შემთხვევაში ინფორმაციის მისაღებად შეგიძლიათ დარეკოთ მერიის ცხელ ხაზზე - 2722222, სამსახურის ტექნიკური პრობლემების ცხელ ხაზზე - 2378346, ან ისარგებლოთ არქიტექტურის სამსახურის ონლაინ კონსულტაციის სერვისით, ასევე შეგიძლიათ მობრძანდეთ შარტავას ქ. #7, მერიის შენობა, პირველი სართული, სივრცე#4.

- გადაწყვეტილება შეიძლება გასაჩივრდეს ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერთან (მის: ქ. თბილისი, ჟ. შარტავას ქუჩა N7), საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით, მისი ოფიციალური გაცნობიდან ერთი თვის ვადაში.